საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 29 თებერვლის
დადგენილება № 621

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის –
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების
დეკანების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2012 წლის 4 მაისს დაინიშნოს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების არჩევნები;
2. დეკანის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი;
3. დეკანების არჩევნებში კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2012 წლის 12 მარტს და დასრულდეს 5 აპრილს;
4. კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 20 დღის განმავლობაში, (25 აპრილის ჩათვლით), აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით მოხდეს კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა აკადემური საბჭოში.
5. აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატი (არაუმეტეს სამი კანდიდატისა) წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს ასარჩევად;
6. დამტკიცდეს თანდართული განცხადება პრესაში გამოსაქვეყნებლად;
7. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით. 65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ დეკანის თანამდებობის დაკავების საკითხს ინდივიდუალურად წყვეტს აკადემიური საბჭო.
8. არჩევნები ჩატარდება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე